ხელშეკრულება № 02-03 / 124
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 24 მაისი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის იოსებ აბულაძის სახით და მეორეს მხრივ, კოოპერატივი „რკ გაუ" (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის გივი გაბაიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"–ს მიერ 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აჭარის არ ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა 070707), კაკლის ნაყოფი სათესლე მასალისთვის (CPV კოდი 03222000 – ხილი და თხილეული) (შემგომში „საქონელი") შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1500,00 (ათას ხუთასი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ერთ ეტაპად, მიმწოდებლის მისამართის მიხედვით, საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარების ქვეპროგრამის ხელმძღვანელი რომან ჩხაიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. მიმწოდებელს მიერ უხარისხო საქონლის მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 10 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის შესაბამისად.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“	კოპერატივი „რკ გაუ“
მის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა	მის.ხულო, სოფელი ხიხაძირი
	სს „თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი TBCBGE22
	ა/ა № GE61TB7690536140100002
ს/კ 445399391	ს/კ 448049433
	გამგეობის თავმჯდომარე
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	გივი გაბაიძე
იოსებ აბულაძე	

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	CPV კოდი 03222000 – ხილი და თხილეული	კაკლის ნაყოფი სათესლე მასალითვის	კგ	125	12,00	1500,00
	ჯამი		ლარი			1500,00

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

იოსებ აბულაძე

AGROS ERVICE CENTRE

AGROSERV ICE CENTRE 2019.05.31 17:16:57 +04'00'

კოპერატივი „რკ გაუ"

გამგეობის თავმჯდომარე

გივი გაბაიძე